



ტესტი გეოგრაფიაში

2015

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი, რუკა და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკვეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომში, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

ტესტზე მუშაობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ საქართველოსა და მსოფლიოს თანდართული ფიზიკური რუკები.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტექსტში არსებული ცარიელი ადგილები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი 30 წუთი

გისურვებთ წარმატებას!

• კითხვა არჩევითი პასუხებით

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რას განაპირობებს დედამიწის ბრუნვა წარმოსახვითი ღერძის გარშემო?

- ა. დღე-ღამის ცვლას
- ბ. სეზონების ცვლას
- გ. ვულკანიზმის გააქტიურებას
- დ. ოკეანურ დინებებს

2. რა არის გამოსახული ფოტოზე?




- ა. კანიონი
- ბ. ჩანჩქერი
- გ. დელტა
- დ. ქორომი

3. ძირითადად, რა განაპირობებს აფხაზეთის ზღვისპირეთში ნაკლებ ატმოსფერულ ნალექს აჭარის ზღვისპირეთთან შედარებით?

- ა. აფხაზეთის ზღვისპირეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედთან სიახლოვე
- ბ. ჰაერის მასების შემოჭრის მიმართ აფხაზეთში ქედების პარალელური მდებარეობა
- გ. ჰაერის მასების შემოჭრის მიმართ აფხაზეთში სანაპირო ქედების პერპენდიკულარული მდებარეობა
- დ. აფხაზეთში მთათაშორისი ქვაბულებისა და ღრმა ხეობების სიმრავლე

4. მსოფლიოში რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების შესახებ არის მოცემული ინფორმაცია დიაგრამაზე?



- ა. ზეთისხილის
- ბ. კაკაოს
- გ. ჩაის
- დ. სელის

5. რა არ შეიძლება იყოს მდინარის სათავე?
 - ა. მყინვარი
 - ბ. ქაობი
 - გ. ტბა
 - დ. ზღვა
6. რა არის მსოფლიო ბაზარზე ევროპის კავშირის კონკურენტული უპირატესობა?
 - ა. მაღალი ტექნოლოგიები
 - ბ. ადგილობრივი მუშახელის სიიაფე
 - გ. ძვირფასი ლითონების მადნის დიდი მარაგი
 - დ. მოსახლეობაში ახალგაზრდათა მაღალი ხვედრითი წილი
7. რომელია კარტოვილის მთავარი მწარმოებელი რეგიონები საქართველოში?
 - ა. გურია და სამცხე-ჯავახეთი
 - ბ. ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი
 - გ. სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი
 - დ. გურია და მცხეთა-მთიანეთი
8. რომელი სახელმწიფო არ ფლობს ქვანახშირის მნიშვნელოვან მარაგს?
 - ა. ჩინეთი
 - ბ. გერმანია
 - გ. ავსტრალია
 - დ. იაპონია
9. რომელი სახელმწიფოს მეთაური არაა გაერთიანებული სამეფოს მონარქი?
 - ა. ახალი ზელანდიის
 - ბ. კანადის
 - გ. ავსტრალიის
 - დ. ბრუნეის
10. ჩამოთვლილთაგან, რომელი სათაური შეესაბამება, ყველაზე მეტად, მოცემულ რუკას?



- ა. საქართველოს სამხარეო ერთეულები
- ბ. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები
- გ. საქართველოს მუნიციპალიტეტები
- დ. საქართველოს მერიებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიები


11. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოიშვა ისლამი?

- ა. ისრაელის
- ბ. სირიის
- გ. საუდის არაბეთის
- დ. ერაყის

12. რომელია მართებული მსჯელობა?

- ა. დღეს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე ქალაქებიდან, მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, ზუგდიდის და გორის მოსახლეობა აღემატება 50 ათას კაცს
- ბ. ბოლო 30 წლის განმავლობაში სულ უფრო იზრდება საქართველოს მოსახლეობის საშუალოწლიური მატება, რისი ძირითადი მიზეზიც იმიგრანტების დიდი რაოდენობა გახდა
- გ. 2000-2014 წწ. საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემების მიხედვით, მამაკაცებისა და ქალების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში სტაბილურად თანაბარია
- დ. 2000-2014 წწ. შობადობის მაღალი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი

13. სახელმწიფოების მიხედვით მოსახლეობაში რომელი რელიგიის პროცენტულ განაწილებას გვიჩვენებს მოცემული რუკა?



- ა. ისლამის
- ბ. ბუდიზმის
- გ. ქრისტიანობის
- დ. ინდუიზმის

14. აშშ-ს რომელ შტატშია მოსახლეობის დიდი ნაწილი ესპანურენოვანი?

- ა. მასაჩუსეტსის
- ბ. ტეხასის
- გ. პენსილვანიის
- დ. მინესოტას

15. რომელი დემოგრაფიული მაჩვენებლით ხასიათდება განვითარებული სახელმწიფოების მოსახლეობა?

- ა. შობადობის მაღალი დონით
- ბ. სიცოცხლის დაბალი საშუალო ხანგრძლივობით
- გ. მოკვდაობის მაღალი დონით
- დ. შობადობის დაბალი დონით

16. რომელი მასშტაბის რუკაზეა გამოსახული ტერიტორია უფრო დეტალურად?

- ა. 1: 10 000 000
- ბ. 1: 3 000 000
- გ. 1: 200 000
- დ. 1: 100 000





17. ჩამოთვლილთაგან, რომელი გეოგრაფიული კოორდინატები არ არსებობს?
- ა. ს.გ. 45°; დ.გ. 110°
 - ბ. ჩ.გ. 14°; ა.გ. 70°
 - გ. ჩ.გ. 17°; დ.გ. 172°
 - დ. ს.გ. 115°; ა.გ. 15°
18. რომელი მოგზაურობისას არ გაითვალისწინეს საბორტო ჟურნალის ჩანაწერებში თარიღთა ცვლის ხაზის გადაკვეთა?
- ა. ამერიგო ვესპუჩის
 - ბ. ქრისტეფორე კოლუმბის
 - გ. ვასკო და გამას
 - დ. ფერნანდო მაგელანის
19. რომელი მოგზაურობა არ მიეკუთვნება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქას?
- ა. ამერიგო ვესპუჩის
 - ბ. ვასკო და გამას
 - გ. ჯეიმს კუკის
 - დ. ქრისტეფორე კოლუმბის


• შესაბამისობის დადგენა

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებებში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

20. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება):

| | რელიეფის ტიპი | რელიეფის ტიპის დასახელება |
|---|---|---------------------------|
| ა |  | 1 გლაციალური |
| ბ |  | 2 კარსტული |
| გ |  | 3 ვულკანური |
| დ |  | |



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| | | | | | |

21. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება):

| | ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული | | სახელმწიფო |
|---|------------------------------------|---|----------------------|
| ა | არიზონა | 1 | გერმანია |
| ბ | ქუინსლენდი | 2 | აშშ |
| გ | ვისკონსინი | 3 | გაერთიანებული სამეფო |
| დ | იორქშირი | 4 | ავსტრალიის კავშირი |
| ე | ვიქტორია | | |
| ვ | თიურინგია | | |
| ზ | ქვემო საქსონია | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ |
| | | | | | | |

22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება):

| | სახელმწიფო | | ნახევარკუნძული |
|---|------------|---|----------------|
| ა | ვატიკანი | 1 | სკანდინავიის |
| ბ | ესპანეთი | 2 | ბალკანეთის |
| გ | საბერძნეთი | 3 | აპენინის |
| დ | სან-მარინო | 4 | პირენეს |
| ე | მაკედონია | | |
| ვ | ნორვეგია | | |
| ზ | შვედეთი | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ |
| | | | | | | |

23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):

| | მრეწველობის დარგი | | წარმოებული პროდუქცია |
|---|--------------------|---|----------------------|
| ა | მეტალურგია | 1 | სარეცხი ფხვნილი |
| ბ | მანქანათმშენებლობა | 2 | მარმარილო |
| გ | ქიმიური | 3 | კონიაკი |
| დ | საშენ მასალათა | 4 | ფოლადი |
| ე | ხე-ტყის | 5 | აბრეშუმის ქსოვილი |
| ვ | მსუბუქი | 6 | ფიცარი |
| ზ | კვების | 7 | ვიდეოკამერა |

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

24. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):

| | მწვერვალი | | გეოგრაფიული ობიექტი |
|---|------------|---|---------------------|
| ა | ხიმსა | 1 | ლექხუმის ქედი |
| ბ | ცივი | 2 | ბზიფის ქედი |
| გ | გუმბათი | 3 | გომბორის ქედი |
| დ | თებულოსმთა | 4 | სვანეთის ქედი |
| ე | არჯევანი | 5 | ერუშეთის მთიანეთი |
| ვ | სამერცხლე | 6 | თრიალეთის ქედი |
| ზ | ლაჰილი | 7 | პირიქითას ქედი |

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება):

| | ქალაქი | | სტატუსი |
|---|----------|---|------------------------------------|
| ა | ბათუმი | 1 | ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი |
| ბ | გურჯაანი | 2 | სამხარეო ცენტრი |
| გ | დუშეთი | 3 | მუნიციპალური ცენტრი |
| დ | მარნეული | | |
| ე | რუსთავი | | |
| ვ | ქუთაისი | | |
| ზ | ონი | | |


| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

- რუკის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

26. (5) ყურადღებით გაეცანით მოცემულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს:



კითხვები:

- 26.1. (1) რომელი მარშრუტი **არ** გადაკვეთს გრინვიჩის მერიდიანს?
- 26.2. (1) რომელი მარშრუტი ემთხვევა დასავლეთის ქარების დინებას და აქვს მისი საწინააღმდეგო მიმართულება?
- 26.3. (1) რომელი მარშრუტი გადის „ზ“ ფრაგმენტზე ნაჩვენებ ტერიტორიაზე?
- 26.4. (1) რომელი მარშრუტი გადის მსოფლიოს უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ რეგიონზე?
- 26.5. (1) რომელი მარშრუტის ზოგიერთი მონაკვეთი ემთხვევა ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციის მარშრუტს?

| № | პასუხი |
|-------|--------|
| 26.1. | |
| 26.2. | |
| 26.3. | |
| 26.4. | |
| 26.5. | |

27. (6) ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს:


27.1. რომელი სოფელი მდებარეობს სოფ. კოთელიდან დაახლოებით 290° აზიმუტით?

- ა. ტურცხი
- ბ. ბარალეთი
- გ. ხანდო
- დ. ალასტანი

27.2. რამდენი მეტრია A და E წერტილებს შორის სიმაღლეთა სხვაობა?

- ა. 0 მ
- ბ. 10 მ
- გ. 40 მ
- დ. 60 მ

27.3. რუკაზე დატანილ რომელ მონაკვეთს შეესაბამება მოცემული პროფილი?



- ა. AB
- ბ. CD
- გ. EF
- დ. GH

27.4. რომელი წერტილი არ გამოჩნდება № 1 წერტილიდან?

- ა. A
- ბ. B
- გ. C
- დ. D

27.5. (2) რუკაზე მწვანე მართკუთხედით აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, რომელიც მდებარეობს სოფ. კოთელიდან სამხრეთ-დასავლეთით უნდა გაიყვანონ სარწყავი არხი. №1 და №2 თუ №3 და №4 წერტილებს შორის იქნება არხის გაყვანა ხელსაყრელი? პასუხი დაასაბუთეთ.

პირობითი აღნიშვნები

გეოდეზიური კუნძულები

1 2 3 1) სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები; 2) ასაგგები ქსელის ნერტილები ადგილზე დაზარებული ცენტრები; 3) სახელმწიფო სანიველიური ქსელის რეპერები და მარკები

დასახლებული კუნძულები

1 2 3 1) შენობა-ნაგებობები; 2) გამორჩეული ცენტრადმიმდებარე შენობები; 3) ორიენტირის მნიშვნელობის მქონე დაზარებული და ნახევრად დაზარებული შენობები

1 2 მჭიდროდ განაშენიანებული კვარტლები ცენტრგამძლე ნაგებობების სიჭარბით:
1) მსხვილ ქალაქებში;
2) სხვა დასახლებულ პუნქტებში

1 2 მჭიდროდ განაშენიანებული კვარტლები არაცენტრგამძლე ნაგებობების სიჭარბით:
1) მსხვილ ქალაქებში;
2) სხვა დასახლებულ პუნქტებში

1 2 3 კვარტლებისა და ქუჩების მჭიდროდ განაშენიანებული უბნები:
1) ქუჩები ქემშარტი ზომით;
2) მაგისტრალური და მთავარი ქუჩები;
3) სხვა ქუჩები და გასასვლელები

1 2 3 1) მეზრად განაშენიანებული კვარტლები;
2) კვარტლები განაშენიანებით;
3) დაზარებული და ნახევრად დაზარებული კვარტლები სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებებში

სამრეწველო და სოციალურ-კულტურული ობიექტები

1 2 3 1) სკოლები; 2) საავადმყოფოები;
3) ქარხნები, ფაბრიკები და წისქვილები მილის გარეშე

1 2 3 1) მინიმალური ზომის; 2) ქემშარტი ზომის
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები (კარიერები):
1) მინიმალური ზომის; 2) ქემშარტი ზომის

1 2 3 1) რადიოსადგურები და ტელეცენტრები;
2) სატელევიზიო ანთენები

1 2 3 1) კომპლექსური ტიპის კაპიტალური შენობები (წყალსანთავი კომპლექსები და სხვა);
2) აეროპორტები და აეროდრომები

1 2 3 4 1) ელექტრო, მანათლური, ტბიები
2) მუზეუმები; 3) სინაგოგები; 4) ცხოვსნივარები

1 2 3 4 1) კავშირგაბმულობის ხაზები (ტელეფონის, ტელეგრაფის, რადიოგადაცემის);
2) წყალქვეშა კავშირგაბმულობის ხაზები

1 2 3 4 1) კორის გამოსაწვავი და ხის ნახშირის მისაღები ლუმბლები, რომლებსაც ორიენტირის მნიშვნელობა აქვს;
2) სათბურები, ორანჟერეები

1 2 3 4 1) მარლის და წყლის დამუშავება;
2) ტორფის დამუშავება

1 2 3 4 1) მეტეოროლოგიური სადგურები;
2) ტექნიკური და მოწოდების ცენტრები





საპროექტო გზები და რკინიგზები

1 2 3 1) ავტომობილური გზები (ავტობანები) ორ ზოლზე მეტი საავტომობილო ნაწილით
2) სავალი გზები (ავტობანები) ორ ზოლზე მეტი საავტომობილო ნაწილით
3) საავტომობილო გზები საფარიტო (გზატკეცილები)

1 2 3 1) საველე და ტყის გზები;
2) საცაფრებო ბილიკები და ხიდები

1 2 3 1) საავტომობილო გზები საფარიტო გარეშე (გაუმჯობესებული ყამირი გზები)
2) მუსლიმანური
3) ქრისტიანული და მუსლიმანური

1 2 3 1) სავალი გზები (ავტობანები) ორ ზოლზე მეტი საავტომობილო ნაწილით
2) სავალი გზები (ავტობანები) ორ ზოლზე მეტი საავტომობილო ნაწილით
3) საავტომობილო გზები საფარიტო (გზატკეცილები)



კიდრმარაზნი

1) ზღის სანაპირო ხაზები: მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მუდმივი და განსაზღვრული ნაპირის ხაზები; 2) ცვალებადი ნაპირის ხაზები;



ხიდები:
ა) მინიმალური ზომის
ბ) ქემშარტი ზომის

მუდმივი მდინარეები და ნაკადულები:
1) ჩანჩქერები და ქორობები;
2) მდინარეოა დინების მიმართულება და სიქარე მ/წამში

შრობადი მდინარეები და ნაკადულები

არხები და თხრილები:
3 მ-ზე ნაკლები სიგანის

3 - 15 მ სიგანის

15 - 30 მ სიგანის

სარწყავი არხები (არიკები)
რკინიგზების ღარები საყრდენებზე

რელიეფი და მცენარეული საფარი

მთლიანი ურბანულრაიონში გათავსებული ურბანული მიწები

ა) პირიზონტალები:
ა-1 ძირითადი გამსხვილებული;

ა-2 ძირითადი;

ა-3 დამატებითი (ნახევარ-პირიზონტალები);

ა-4 დამხმარე (ნებისმიერ სიმაღლეზე);

ა-5 ღორბები;

ა-6 ნარჩენები პირიზონტალებზე მცირეებში;

ბ-1 კლდეები;

ბ-2 ფლატები;

ბ-3 ქვიანი მდინარეები;

ბ-4 მკვირი ქანების ჩამონახლები;

გ-1 ფირფიტის მინდვრების საზღვრები;

გ-2 მუდმივების რელიეფი;

გ-3 მორენები;

დ-1 შრალი კალაპოტები და დამშრალი ტბების ღრმები;

დ-2 კარსტული და თერმოკარსტული ძაბრები, რომლებიც არ გამოიხატება რუკის მასშტაბში

ე-1 სწორი ქვიშარები;
ე-2 ქვიანი ზედაპირები

ვ-1 ქვიანი და ლორღიანი ზედაპირები;
ვ-2 კოლონიანი ზედაპირები

1-1234 2-540 1) სიმაღლეთა ნიშნულები მეტრებში;
2) ზღვის დონეზე დაბლა მდებარე ნერტილების სიმაღლეთა ნიშნულები

..... მცენარეული საფარისა და გრუნტის საზღვრები

..... ტყის ვიწრო ზოლები და კარსადები

..... ბუჩქების ვიწრო ზოლები და ცოცხალი ლბებები

1^ქ 2^ჭ 3^ჭ ტყვის დომინანტი ხის ტიპები:
1) წიწვოვანი; 2) ფოლიოვანი;
3) შერეული

1^ქ 2^ქ 3^ქ 1) ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები;
2) მეჩიერი ტყეები

1^ქ 2^ქ 1) ტყეები; 2) ბუჩქნარები

1^ქ 2^ქ 1) ხეხილისა და ციტრუსის ბაღები;
2) ვენახები

1^ქ 2^ქ 1) ტექნიკური კულტურების პლანტაციები;
2) ბრინჯის მინდვრები

1^ქ 2^ქ 1) სტეპის (ბალახოვანი) მცენარეულობა;
2) ლელეპისისა და ლერწმის რაყები

1^ქ 2^ქ 1) გაუვლი და ძნელად გასავლი ქაობები და ქაობის მცენარეულობა;
2) გასავლი მლაშობები

1^ქ 2^ქ 1) კლდის ნარჩენები;
2) ცალკე მდებარე ქვები

1^ქ 2^ქ 1) უღელტეხილები; 2) შესასვლელები გამორჩეულობაში და გროტები

1^ქ 2^ქ 1) გაუვლი და ძნელად გასავლი ქაობები და ქაობის მცენარეულობა;
2) გასავლი მლაშობები

• ინფორმაციის ტრანსფორმაცია

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

28. (8) I, II, III ცხრილებსა და დიაგრამებზე მოცემულია სამი სახელმწიფოს: აშშ-ის, გერმანიისა და იაპონიის სტატისტიკური მონაცემები. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

I. ცხრილი




| | აშშ | იაპონია | გერმანია |
|--|-----------|-----------|----------|
| ფართობი (კვ.კმ) | 9 826 675 | 377 915 | 357 022 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) | 52 800 | 37 100 | 39 500 |
| სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი | 17.6% | 8.7% | 26.1% |
| საავტომობილო გზების საერთო სიგრძე (კმ) | 6 586 610 | 1 210 251 | 645 000 |

II. ცხრილი

| სახელმწიფო | მოსახლეობის რაოდენობა |
|------------|-----------------------|
| A | 127 103 388 |
| B | 80 996 685 |
| C | 318 892 103 |

III. ცხრილი

| სახელმწიფო | შობადობა 1 000 კაცზე | მოკვდაობა 1 000 კაცზე | მიგრაციის სალდო 1 000 კაცზე |
|------------|----------------------|-----------------------|-----------------------------|
| D | 8.42 | 11.29 | 1.06 |
| E | 13.42 | 8.15 | 2.45 |
| F | 8.07 | 9.38 | 0 |



კითხვები:

28.1.(3) II, III ცხრილებსა და დიგრამებზე მოცემული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე შეავსეთ შესაბამისი ცხრილები:

მოსახლეობის რაოდენობა

| სახელმწიფო | A | B | C |
|------------------------|---|---|---|
| სახელმწიფოს დასახელება | | | |

შობადობა/მოკვდაობა/მიგრაცია

| სახელმწიფო | D | E | F |
|------------------------|---|---|---|
| სახელმწიფოს დასახელება | | | |

მოსახლეობის სტრუქტურა

| სახელმწიფო | G | H | I |
|------------------------|---|---|---|
| სახელმწიფოს დასახელება | | | |

28.2. (1) დავალებაში მოცემული სახელმწიფოები დაალაგეთ მშპ-ის მოცულობის ზრდის მიხედვით (მცირედან დიდისკენ).

28.3. (2) რომელ სახელმწიფოშია ყველაზე დაბალი ურბანიზაციის დონე და რას უდრის ეს მაჩვენებელი (ახსენით ან უჩვენეთ გამოთვლის პროცესი)?

28.4. (1) III ცხრილის მიხედვით, რომელ სახელმწიფოშია მოსახლეობის ბუნებრივი მატება და რამდენ პრომილეს (%o) უდრის ეს მაჩვენებელი (ახსენით ან უჩვენეთ გამოთვლის პროცესი)?

28.5. (1) ახსენით, რომელ სახელმწიფოშია საავტომობილო გზების ქსელის უფრო მაღალი სიხშირე?

• ტექსტის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

29. (10) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

მტკნარი წყალი საქართველოს ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს. წლის განმავლობაში ფორმირებული მტკნარი წყლის ფენის საშუალო სიმაღლით ევროპის სახელმწიფოებიდან საქართველო მხოლოდ ნორვეგიას, შვეიცარიასა და ავსტრიას ჩამორჩება. საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსები შედგება ადგილობრივად ფორმირებული და მეზობელი სახელმწიფოებიდან შემოსული ჩამონადენისაგან. საქართველოს მდინარეთა მტკნარი წყლის რესურსი 61,45 კმ³-ს შეადგენს, საიდანაც 48 კმ³ დასავლეთ საქართველოს მდინარეთა საერთო წყლის რესურსია. მდინარეთა ქსელის სიხშირე ტერიტორიულად არათანაბრადაა განაწილებული.

მდინარეთა ქსელის სიხშირის განაწილების ზოგადი კანონზომიერება დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე - ნალექებსა და ტემპერატურაზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება კავკასიონის მაღალმთიან ზონაში. აქ მდინარეთა ქსელის სიხშირე მცირდება ჰაერის ტემპერატურის შემცირებასთან ერთად. მდინარეთა ქსელის არსებობის ზედა ზღვარი საშუალოდ 3200-3300 მ-ზე გადის, რაც ფირნის ხაზის¹ საშუალო სიმაღლეს შეესაბამება.

მდინარეთა ქსელის სიხშირის განაწილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოროგრაფია და ადგილის გეოლოგიური აგებულება. მაგალითად, ჯავახეთის ზეგნის ძლიერ დანაპრალებული ქანები ამცირებს მდინარეთა ქსელის სიხშირეს და ზრდის მიწისქვეშა წყლის მარაგს. ანალოგიური სიტუაციაა კარსტულ ზონაშიც.

| ტერიტორია | ჩამონადენი (კმ ³) | | საერთო რესურსი, კმ ³ | გადინება, კმ ³ | |
|------------------------|-------------------------------|-------------------------|---------------------------------|---------------------------|------------|
| | ადგილობრივი | ტრანზიტული ² | | სულ | შავ ზღვაზე |
| დასავლეთი საქართველო | 41,52 | ? | 48,0 | 48,0 | 47,63 |
| ა აფხაზეთი | 15,4 | - | 15,4 | 15,4 | 15,4 |
| ბ აჭარა | 3,42 | 6,48 | 9,90 | 9,90 | 9,53 |
| გ დანარჩენი ტერიტორია | 22,7 | - | 22,7 | 22,7 | 22,7 |
| ადმოსავლეთი საქართველო | 11,25 | 2,20 | ? | ? | - |

¹ ფირნი - მარცვლოვანი ყინული, რომელიც წარმოიშობა თოვლის გადაკრისტალებისა და მისი დნობით წარმოქმნილი წყლის თოვლის ფენებში ჩაჟონვით და ჩაყინვით, წყლის ორთქლის გადაკრისტალებისა და სუბლიმაციის შედეგად. თოვლის ზედა ფენების სიმძიმით ფირნი თანდათან გარდაიქმნება ყინულად. ფირნის ხაზი - მყინვარის ფირნის საფარის ქვედა საზღვარი.

² ტრანზიტული ჩამონადენი - სხვა სახელმწიფოდან შემოსული.

კითხვები:

29.1. (1) რომელი სახელმწიფოებიდან შემოსული მდინარის ჩამონადენი არის საქართველოს წყლის რესურსების შემადგენელი ნაწილი?

29.2. (1) ახსენით, რას უდრის დასავლეთ საქართველოს ტრანზიტული ჩამონადენი?

29.3. (1) საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსებიდან, რამდენი კმ³ გაედინება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ახსენით ან უჩვენეთ გამოთვლის პროცესი)?

29.4. (1) რით ახსნით, როგორ იცვლება მდინარეთა ქსელის სიხშირე საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით?

29.5. (1) რით ახსენით იმას , რომ მდინარეთა ქსელის ზედა საზღვარი ზღვის დონიდან საშუალოდ 3200-3300 მეტრზე გადის?

29.6. (1) აჭარის მდინარეთა საერთო წყლის რესურსებიდან შავ ზღვაში ჩაედინება მხოლოდ 9,53 კმ³, სად ჩაედინება დანარჩენი 0,37 კმ³?

29.7. (1) ჩამოთვალეთ, მდინარეთა ქსელის სიხშირის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი ბუნებრივი ფაქტორი.

29.8. (1) დაასახელეთ საქართველოს სამი რეგიონი, სადაც მდინარეთა ქსელის სიხშირის განაწილების ფორმირებაში მნიშვნელოვანია კარსტული რელიეფი.

29.9. (2) დაასახელეთ საქართველოს ოთხი მდინარე, რომელიც შემოედინება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან.